„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

_____ ს. ტეფნაძე
25 _____ 01 _____ 2019
დადგენილება № _____

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

ძირითადი ასლი

1 სარჩევი

1 სარჩევი 2

i. ცვლილებები 3

ii. ცვლილებების ისტორია 4

iii. მოქმედი გვერდების სია 5

2 დოკუმენტაციის კონტროლი 6

3 ზოგადი დებულებანი 7

4 ღია კონკურსის არსი და პრინციპები 7

5 ღია კონკურსის მიზანი და ამოცანები 7

6 კონკურსის გამოცხადება 7

7 აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები 8

8 სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევის პირობები 8

9 საკონკურსო კომისია 9

10 საკონკურსო საბუთები 9

11 კონკურსის ეტაპები 10

12 კონკურსის შედეგები 10

13 ატესტაცია 10

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
13	10	0	იანვარი 2019	13	10	0	დეკემბერი 2019

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი
1	ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შედეგად გამოწვეული ცვლილება	3,4,5,10	27.12.2019	დავით ტეფნაძე

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	იანვარი 2019					
1	2	0	იანვარი 2019					
i	3	1	დეკემბერი 2019					
ii	4	1	დეკემბერი 2019					
iii	5	1	დეკემბერი 2019					
2	6	0	იანვარი 2019					
3	7	0	იანვარი 2019					
4	7	0	იანვარი 2019					
5	7	0	იანვარი 2019					
6	7	0	იანვარი 2019					
7	8	0	იანვარი 2019					
8	8	0	იანვარი 2019					
9	9	0	იანვარი 2019					
10	9	0	იანვარი 2019					
11	10	0	იანვარი 2019					
12	10	0	იანვარი 2019					
13	10	1	დეკემბერი 2019					

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3 ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შერჩევის მიზნით ღია კონკურსის (შემდგომში კონკურსი) ჩატარების და ვაკანტური ადგილების დაკავების ძირითად პრინციპებს, პროცედურებსა და ვადებს.

4 ღია კონკურსის არსი და პრინციპები

1. ღია კონკურსის არსი მოიცავს, უნივერსიტეტში არსებული ვაკანტური აკადემიური თანამდებობისთვის კანდიდატის შერჩევას, განსაზღვრული პირობებისა და კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის გზით.
2. კონკურსის ძირითადი პრინციპები ეფუძნება: კანონიერების, კანონის წინაშე თანასწორობის, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის, მიუკერძოებლობის, სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ღიაობის აღიარებულ სხვა პრინციპებს.

5 ღია კონკურსის მიზანი და ამოცანები

1. ღია კონკურსის მიზანია, ვაკანტური აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით, საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.
2. კონკურსის ამოცანებია:
   2.1. უნივერსიტეტში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
   2.2. ვაკანტური თანამდებობებისათვის კანდიდატების შერჩევისა და უნივერსიტეტში განწესების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
   2.3. საუკეთესო კანდიდატების შერჩევა ვაკანტური პოზიციებისათვის განსაზღვრულ ძირითად, სპეციალურ და ასევე, დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევების, პროფესიული გამოცდილებისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე.

6 კონკურსის გამოცხადება

1. უნივერსიტეტში ღია კონკურსი ცხადდება ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ან უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით.
2. კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით, სადაც მიეთითება კონკურსის საჯარო გამოქვეყნების თარიღი და წესი (საჯარო სივრცეში ცნობად დასაქმების ვებ-გვერდზე ან/და ბეჭდურ გამოცემაში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე): საკონკურსო ვაკანსიების დარგი/მიმართულება ან ქვედარგი/ქვემიმართულება; საკონკურსო აკადემიური თანამდებობები ვაკანტური ადგილების რაოდენობების მითითებით; მოთხოვნები კონკურსანტთა მიმართ, კონკურსანტთა მიერ წარსადგენი საბუთები; ინფორმაცია კონკურსის ვადების შესახებ; დაინტერესებულ პირთა და კონკურსანტთა ინფორმირების წესი; კონკურსის ეტაპების, კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადები/თარიღები; საკონტაქტო ინფორმაცია.
3. კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება ხდება საკონკურსო საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე ამ წესის შესაბამისად.

7 აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული ნიშნით.
2. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული/გამოცემული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ან/და პუბლიკაციები. პროფესორის თანამდებობაზე პირი აირჩევა უვადოდ.
3. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული/გამოცემული აქვს სამეცნიერო ნაშრომები ან/და პუბლიკაციები. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე პირი აირჩევა უვადოდ.
4. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე პირი აირჩევა 4 წლის ვადით.
5. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი. ასისტენტის თანამდებობაზე პირი აირჩევა 4 წლის ვადით.
6. აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კვალიფიციური პერსონალი პროფესიული ნიშნით. ასეთ შემთხვევაში მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და გამოქვეყნებული პუბლიკაციებით.
7. აკადემიური თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქემ, კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის დაცვით.
8. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი უფლებამოსილია თითოეული კონკურსისათვის დაადგინოს ან/და დააზუსტოს თანამდებობაზე არჩევის პირობები და პროცედურები.

8 სამეცნიერო თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. უნივერსიტეტში სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 372 -ე მუხლის შესაბამისად.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე პირი აირჩევა უვადოდ.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 წლის ვადით.
4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 წლის ვადით.
5. პოსტდოქტორანტად შეიძლება აირჩეს პირი რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
6.

7. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, უნივერსიტეტი უფლებამოსილია თითოეული კონკურსისათვის დაადგინოს და განსაზღვროს დამატებითი პირობები და პროცედურები.
8. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას, რომლის წესს ამტკიცებს მმართველი საბჭო.

9 საკონკურსო კომისია

1. აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით უნივერსიტეტში იქმნება მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია.
2. კომისიის შემადგენლობაში შედიან: რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის უფროსი, ადამიანური რესურსების მენეჯერი, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი.
3. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობას, თითოეული კონკურსის წინ, ემატება დამატებითი წევრი/წევრები, რომელთა მოწვევას ახდენს რექტორი ბრძანების გამოცემით.
4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეა რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.
5. კომისიის საქმიანობის ორგანიზებას ახორციელებს კომისიის მდივანი, რომლის ფუნქციასაც ასრულებს ადამიანური რესურსების მენეჯერი.
6. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება უბრალო უმრავლესობა.
7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.
8. ამ მუხლით დადგენილი საკონკურსო კომისიის დაკომპლექტების წესი კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე შეიძლება შეიცვალოს რექტორის ბრძანებით.

10 საკონკურსო საბუთები

1. კონკურსში მონაწილე პირი ვალდებულია უზრუნველყოს კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა და მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე.
2. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს ინფორმაციის და წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა.
3. კონკურსში მონაწილე პირმა უნდა წარმოადგინოს:
   3.1. CV/რეზიუმე;
   3.2. პირადობის მოწმობის ასლი;
   3.3. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია)
   3.4. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა
   3.5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების/პუბლიკაციების ჩამონათვალი;
   3.6. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   3.7. ინგლისურენოვან პროგრამაში ჩართვის ან კომპონენტის განხორციელების შემთხვევაში, ინგლისური ენის კომპეტენციის/ინგლისურ ენაზე სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთი დოკუმენტაციის არარსებობის შემთხვევაში, კანდიდატის ენობრივი კომპეტენციის შემოწმება მოხდება პრეზენტაციის წარდგენისას საკონკურსო კომისიასთან);
   3.8. შესაბამისი კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები.

11 კონკურსის ეტაპები

1. აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:
   1.1. განაცხადისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ხდება 5 სამუშაო დღის ვადაში;
   1.2. განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხილვას ეთმობა არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა;
   1.3. კონკურსანტებთან გასაუბრებას ეთმობა 10 სამუშაო დღე;
   1.4. საბოლოო შედეგების გამოცხადება ხდება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში.

12 კონკურსის შედეგები

1. წარმოდგენილი საბუთების გადარჩევისა და განხილვის საფუძველზე კომისია იღებს კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადასვლის გადაწყვეტილებას, რაც ეცნობება პრეტენდენტს წერილობით.
2. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა კანდიდატისადმი კონკურსის ყველა ეტაპზე. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს აცილება.
3. კომისიის მიერ კანდიდატის შეფასების დასაბუთებული შედეგი აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
4. კომისიის მიერ კანდიდატის/კანდიდატების შერჩევის შემდგომ, გადაწყვეტილება წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

13 ატესტაცია

1. ატესტაცია გულისხმობს დასაქმებულის პროფესიული ჩვევებისა და კვალიფიკაციის პერიოდულ შემოწმებასა და შესაბამისობის დადგენას დაკავებულ თანამდებობაზე წაყენებულ მოთხოვნებთან.
2. ატესტაციას ექვემდებარება დასაქმებული, თანამდებობის დაკავებიდან ყოველ შემდგომ მე-5 წელს.
3. ატესტაციას დაქვემდებარებული დასაქმებულები არიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.
4. ატესტაციის ჩატარების მოთხოვნები და პროცედურები რეგულირდება შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ ატესტაციის ჩატარების წესით.